

მონაცემების გლობალური ბარომეტრის ქვეყნის შედეგები

საქართველოსა და აღმოსავლეთ ევროპის და
ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების
შედეგების მიმოხილვა

Supported by
Luminate
Building stronger societies



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

ანალიზი მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, Luminate-ის მიერ გამოყოფილი გრანტის ფარგლებში. მის შინაარსზე პასუხისმგებელია IDFI და ბლოგპოსტში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს Luminate-ის პოზიციას.

სარჩევი

ძირითადი მიგნებები	4
შესავალი	5
მეთოდოლოგია	5
რეგიონის ქვეყნების ზოგადი შედეგები	7
საშუალო ჯამური ქულა	7
შედეგები ძირითადი ინდიკატორების მიხედვით	7
შედეგები GDB-ის მოდულების მიხედვით	9
მმართველობა	9
შესაძლებლობები	10
პოლიტიკური ანგარიშვალდებულება	11
კომპანიების რეესტრი	12
უძრავი ქონების რეესტრი	13
საჯარო ფინანსები	14
ჯანდაცვა და Covid-19	15
სახელმწიფო შესყიდვები	16
კლიმატის მონაცემები	17
მარგინალიზებული ჯგუფები	19
რეგიონის ძირითადი გამოწვევები	19
რეკომენდაციები საქართველოსთვის	20

ძირითადი მიგნებები

- მონაცემების გლობალური ბარომეტრის (GDB) საერთო შედეგების მიხედვით, აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონის 12 ქვეყნიდან საქართველო 40.25 ქულით მეხუთე ადგილს იკავებს, უკრაინის, სომხეთის, ყაზახეთის და მოლდოვას შემდეგ.
- მონაცემთა მართვის/განკარგვის კომპონენტში, რეგიონში საქართველო მეშვიდე ადგილს იკავებს 34.54 ქულით;
- საქართველომ საშუალოზე დაბალი შედეგები აჩვენა GDB-ის მმართველობის მოდულში 23.50 ქულით, გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანაში არ არსებობს ღია მონაცემების პოლიტიკა, საჯარო მონაცემების მიმოცვლის საკანონმდებლო ჩარჩო და საჯარო მონაცემების მართვის ერთიანი სისტემა/სტანდარტები.
- საქართველოს შედეგებს მიწათსარგებლობის მოდულში მნიშვნელოვნად აქვეითებს მონაცემების სრულად მისაღებად საჯარო რეესტრის მიერ დაწესებული საფასური, რაც აფერხებს ხელმისაწვდომობას და ეწინააღმდეგება ღია სტანდარტებს.
- რეგიონში ყველაზე მეტი გამოწვევა ღია მონაცემების გამოყენებისა და გავლენის ინდიკატორთა ჯგუფის ფარგლებში დაფიქსირდა.
- მონაცემების ყველაზე ხელმისაწვდომი კატეგორია რეგიონში სახელმწიფო შესყიდვების მონაცემები აღმოჩნდა.
- ვაქცინაციის შესახებ მონაცემები და საერთო სტატისტიკა ხელმისაწვდომია რეგიონის თითქმის ყველა ქვეყანაში, თუმცა ამ კუთხით მნიშვნელოვანი გამოწვევაა დამუშავებად და ღია ფორმატში მონაცემების ხელმისაწვდომობა.

შესავალი

მონაცემების გლობალური ბარომეტრი (GDB) წარმოადგენს საერთაშორისო კვლევას, რომელიც იკვლევს საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის მონაცემების მნიშვნელობასა და სარგებელს, და ეფუძნება ღია მონაცემების ბარომეტრის მეთოდოლოგიას.¹ GDB ერთიანი მეთოდოლოგიით, სხვადასხვა ინდიკატორების საფუძველზე, აფასებს 108 ქვეყანას და შედეგად ადგენს ქვეყნების რეიტინგს. ბარომეტრის მეშვეობით შესაძლებელია არსებული გამოწვევების და კარგი პრაქტიკის გამოკვეთა, და ქვეყნების შედეგების ერთმანეთთან შედარება. GDB აქტიურად თანამშრომლობს რეგიონალურ ჰაბებთან, თემატურ პარტნიორებთან, მთავრობებთან, კერძო სექტორთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, აკადემიურ წრეებთან და მედიასთან.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალური ჰაბი გახდა GDB-ის 2021 წლის საპილოტე კვლევის ფარგლებში.² ჰაბი მოიცავს 12 ქვეყანას - უკრაინა, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა, ბელარუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი და მონღოლეთი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინიციატივის მთავარი მიზანია, ქვეყნებში საჯარო პოლიტიკის სხვადასხვა საკითხებზე მონაცემების ხელმისაწვდომობის შეფასება, ღია მონაცემების ბარომეტრის მიღწევებისა და მეთოდოლოგიის გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს პოლიტიკის შემუშავებას, ღია დიალოგსა და შემდგომ ემპირიულ კვლევებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების მონაცემთა ეკოსისტემისა და მონაცემთა განვითარების ანალიზს.

მეთოდოლოგია

GDB-ის 2021 წლის გამოცემა აფასებს მონაცემთა მართვის/განკარგვის თვალსაზრისით არსებულ პოლიტიკასა და პრაქტიკებს 2019 წლის 1 მაისიდან, 2021 წლის 1 მაისამდე პერიოდის მდგომარებით.

კვლევის პროცესს ცალკეულ ქვეყანებში წარმართავდნენ წინასწარ შერჩეული ინდივიდუალური მკვლევრები, რომელთა კოორდინაციაზე პასუხისმგებელი იყო შესაბამისი რეგიონული ჰაბი. ინდექსი შედგება ცხრა ძირითადი მოდულისგან:

¹ [ღია მონაცემების ბარომეტრი](#)

² [რეგიონული ჰაბები](#)

- მმართველობა
- შესაძლებლობები
- პოლიტიკური ანგარიშვალდებულება
- კომპანიების რეესტრი
- უძრავი ქონების რეესტრი
- საჯარო ფინანსები
- ჯანდაცვა და Covid-19
- სახელმწიფო შესყიდვები
- კლიმატის მონაცემები

დამატებით, თითოეული მოდული ფასდება ინდიკატორების ოთხი ძირითადი ჯგუფის შესაბამისად - მონაცემთა მართვა/განკარგვა*, მონაცემთა შესაძლებლობები*³, ხელმისაწვდომობა, და გამოყენება და გავლენა.

მონაცემთა მართვის/განკარგვის ინდიკატორებით ფასდება არსებულ რეგულაციები, პროცესები და ინსტიტუტები, რომლებიც ხელს უწყობენ მონაცემების ხელმისაწვდომობას და დაცვას. მმართველობის ინდიკატორები ზოგადად აფასებენ ქვეყანაში არსებულ სამართლებრივ და პოლიტიკურ ჩარჩოს მონაცემთა ეკოსისტემების თვალსაზრისით.

მონაცემთა შესაძლებლობების ინდიკატორებით ფასდება ქვეყანაში არსებულ საშუალებები, კავშირები, უნარები და ინსტიტუციური შესაძლებლობები, მონაცემების შეგროვების, გასაჯაროების და საზოგადოებრივი სიკეთისთვის გამოყენების თვალსაზრისით.

მონაცემთა ხელმისაწვდომობის ინდიკატორებით ფასდება გარკვეული კატეგორიის მონაცემების ხელმისაწვდომობა, საჯაროობა, ხარისხი, და თუ რამდენად შესაძლებელია მათი ხელახალი გამოყენება საზოგადოებრივი სიკეთისთვის.

მონაცემთა გამოყენება და გავლენის ინდიკატორები ეხება მონაცემების კონკრეტული გამოყენებისა და შედეგების მაგალითებს.

უფრო ყოვლისმომცველი და სრულყოფილი სურათის წარმოსაჩენად, GDB დამატებით ითვალისწინებს ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების და ინდექსების მონაცემებს, როგორცაა: [ODW დია მონაცემების ინდექსი](#), [ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია](#), [Freedom House](#), [გაერო](#), [მსოფლიო ბანკი](#), [ინოვაციების გლობალური ინდექსი](#), [WE Forum](#), [საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების კავშირი \(ITU\)](#) და სხვა. აღნიშნული წყაროებიდან მიღებული მაჩვენებლები ინტეგრირებულია GDB-ის საბოლოო შეფასებებში შეწონილი ქულების მეშვეობით.⁴

³ აღნიშნული ინდიკატორების ჯგუფი მოიცავს როგორც პირველი და მეორე მოდულის ინდიკატორებს, ასევე რამდენიმე დამატებით ინდიკატორს სხვა მოდულებიდან.


⁴ [იხ. მეთოდოლოგია უფრო დეტალურად](#)

რეგიონის ქვეყნების ზოგადი შედეგები

საშუალო ჯამური ქულა

აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონში, კვლევის ფარგლებში **საუკეთესო შედეგები უკრაინაში დაფიქსირდა**. მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია GDB-ის ყველა ინდიკატორის და მოდულის შედეგად მიღებული საშუალო ქულა, 100 ბალიან შკალაზე. ამ მხრივ, რეგიონის 12 ქვეყნიდან საქართველო 40.25 ქულით მეხუთე ადგილს იკავებს, უკრაინის, სომხეთის, ყაზახეთის და მოლდოვას შემდეგ. მნიშვნელოვნად დაბალი შედეგები დაფიქსირდა ცენტრალური აზიის სხვა ქვეყნებში, აზერბაიჯანსა და ბელარუსში.

ჯამური შენონილი ქულა



შედეგები ძირითადი ინდიკატორების მიხედვით

ინდექსის დაჯამებული ქულები ასახავს ზოგად მდგომარეობას რეგიონში, თუმცა უფრო ზუსტი და დეტალური ანალიზისთვის აუცილებელია შედეგების განხილვა ცალკეული მოდულებისა და ინდიკატორების ჭრილში.

მონაცემთა მართვის/განკარგვის თვალსაზრისით, რეგიონში უკრაინა და სომხეთი ლიდერობენ 61.13 და 54.66 ქულით. ამ კომპონენტში საქართველო მეშვიდე ადგილს იკავებს

34.54 ქულით, რაც მიანიშნებს მონაცემთა ხელშეწყობის და დაცვის შედარებით სუსტ რეგულაციებზე, პროცესებსა და ინსტიტუტებზე.

შესაძლებლობების კომპონენტში კვლავ უკრაინას უჭირავს მოწინავე პოზიცია 56.53


ქულით, ხოლო ყაზახეთი მცირედით ჩამორჩება 55.48 ქულით. აღნიშნული კომპონენტი აფასებს ქვეყანაში არსებულ ძალისხმევას საჯარო მოხელეების გადამზადების მიმართულებით, სახელმწიფოს მხრიდან საჯარო მონაცემების მესამე პირების მიერ გამოყენების მხარდაჭერას, ღია მონაცემების პოლიტიკას და სხვა რელევანტურ გარემოებებს.

მონაცემების ხელმისაწვდომობის კომპონენტში სომხეთი ლიდერობს 48.53 ქულით. რეგიონში მეორე და მესამე ადგილს უკრაინა და საქართველო იკავებენ 48.32 და

45.53 ქულით. ეს კომპონენტი წარმოადგენს შვიდი მოდულის (მონაცემების ძირითადი კატეგორიების ხელმისაწვდომობის შეფასება) ფარგლებში მიღებულ საშუალო მაჩვენებელს და ასახავს ქვეყანაში ხელმისაწვდომი საჯარო მონაცემების ხარისხის, ღიაობის, და გამოყენებადობის შეფასებას.

გამოყენება და გავლენის კომპონენტში უკრაინის შედეგები (82.08 ქულა) მნიშვნელოვნად აღემატება რეგიონის სხვა დანარჩენ ქვეყნებს. ამ თვალსაზრისით მეორე და მესამე ადგილს მოლდოვა და საქართველო იკავებენ, რაც მიანიშნებს ამ ქვეყნებში საჯარო მონაცემების პრაქტიკული გამოყენების მაგალითების სიმრავლეზე. აღნიშნულ კომპონენტში ყველაზე დაბალი შეფასება თურქმენეთში, აზერბაიჯანში, ბელარუსსა და ტაჯიკეთში დაფიქსირდა. საერთო ჯამში, რეგიონისთვის ყველაზე მეტი გამოწვევა გამოყენებისა და გავლენის ინდიკატორთა ჯგუფის ფარგლებში დაფიქსირდა, ქვეყნების უმეტესობაში თვალსაჩინოა საჯარო მონაცემების პრაქტიკული გამოყენების მხოლოდ სპორადული/ერთეული მაგალითები, რომლებსაც ძირითადად მედია და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ხელმძღვანელობენ, რაც მიუთითებს კერძო სექტორის და აკადემიის ჩართულობის ნაკლებობაზე.

შედეგები ძირითადი ინდიკატორების მიხედვით




შედეგები GDB-ის მოდულების მიხედვით

მმართველობა

მმართველობის მოდული მოიცავს მონაცემების მმართველობის ძირითად ინდიკატორებს: ღია მონაცემების პოლიტიკა, მონაცემთა დაცვა, მონაცემთა მიმოცვლის მექანიზმები (Data-Sharing Frameworks), მონაცემების მართვა/განკარგვა, ხელმისაწვდომობა, და სხვა. რეგიონში მოწინავე, უმაღლესი შეფასება დაფიქსირდა უზბეკეთსა და უკრაინაში, 52.07 და 50.52 ქულით. ამ მიმართულებით, საქართველომ საშუალოზე დაბალი შედეგები აჩვენა 23.50 ქულით, გამომდინარე იქიდან რომ ქვეყანაში არ არსებობს ღია მონაცემების პოლიტიკა, საჯარო მონაცემების მიმოცვლის საკანონმდებლო ჩარჩო და საჯარო მონაცემების მართვის ერთიანი ჩარჩო.

მმართველობა




შესაძლებლობები

მმართველობის მოდულის ანალოგიურად, შესაძლებლობების მოდულიც მოიცავს მონაცემების შესაძლებლობების ძირითად ინდიკატორებს, როგორცაა ღია მონაცემების ინიციატივები, ადგილობრივ დონეზე აქტივობა, და საჯარო მოხელეების შესაძლებლობები. ამ მოდულის ფარგლებში მოწინავე პოზიციები უკრაინასა და ყაზახეთს უჭირავთ, 62.64

და 60.20 ქულით. შედარებით მაღალი შეფასება განპირობებულია სახელმწიფოს მხრიდან ორგანიზებული საჯარო მოხელეების გადასამზადებელი აქტივობებითა და პროგრამებით როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე, რაც რეგიონის სხვა ქვეყნებში ნაკლებად ფიქსირდება.

საქართველო ამ მოდულის ფარგლებში 48.76 ქულით შეფასდა. ქვეყანაში თვალსაჩინოა მთავრობის მხარდაჭერისა და მონაცემთა ხელახალი გამოყენების წახალისების გარკვეული მაგალითები, ძირითადად ჰაკათონების და მონაცემთა კონკურსების სახით, რომლებიც ძირითადად ორგანიზებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) მიერ. თუმცა, მეორე მხრივ, კვლავ არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევები, კერძოდ, არასისტემურად განახლებული ღია მონაცემების სახელმწიფო პორტალი და ადგილობრივ დონეზე მონაცემების მართვის/განკარგვის თვალსაზრისით შესაძლებლობების ნაკლებობა.

შესაძლებლობები




პოლიტიკური ანგარიშვალდებულება

პოლიტიკური ანგარიშვალდებულების მოდული მოიცავს ინდიკატორებს, რომლებიც აფასებენ პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობას, ლობისტური აქტივობების მონაცემების ხელმისაწვდომობას, საჯარო მოხელეების ქონებრივი დეკლარაციების საჯაროობას, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საჯარო კონსულტაციების გამჭვირვალობას და ზოგადად სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის პრაქტიკას. ამ მოდულის შეფასების მიხედვით, მოწინავე პოზიციებს რეგიონში იკავებენ სომხეთი, უკრაინა და მოლდოვა, ხოლო ყველაზე დაბალი შედეგები ტაჯიკეთსა და თურქმენეთში ფიქსირდება.

ამ მოდულის ფარგლებში, საქართველომ საუკეთესო შეფასება პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობის ინდიკატორში დაიმსახურა და რეგიონში ამ მხრივ პირველ ადგილს იკავებს. შედარებით მაღალი შეფასება დაფიქსირდა ქონებრივი დეკლარაციების ინდიკატორშიც, გამომდინარე იქიდან, რომ საჯარო მოხელეების ქონებრივი დეკლარაციები საჯაროა, პორტალი გამართულია და ინფორმაცია რეგულარულად განახლებადი. ამ მხრივ ძირითადი გამოწვევაა ის ფაქტი, რომ აღნიშნული მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის ღია დამუშავებად ფორმატში. ხოლო ყველაზე დაბალი შეფასება საქართველომ საჯარო კონსულტაციების ინდიკატორში დაიმსახურა, ვინაიდან ქვეყანაში მწირია გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის პრაქტიკა და ფაქტობრივად არ არსებობს ამ პროცესის დროს მონაცემების შეგროვების და დამუშავების მექანიზმები.


პოლიტიკური კეთილსინდისიერება



კომპანიების რეესტრი

აღნიშნული მოდული აფასებს ქვეყანაში რეგისტრირებული კომპანიების შესახებ არსებული მონაცემების ხელმისაწვდომობას და ბენეფიციარ მესაკუთრეობის ირგვლივ არსებულ კანონმდებლობას და პრაქტიკას. აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის საუკეთესო შედეგები უკრაინაში დაფიქსირდა 75.90 ქულით, ხოლო საქართველო მესამე ადგილზე აღმოჩნდა 45.88 ქულით, მიუხედავად ბენეფიციარი მესაკუთრეების მარეგულირებელი ჩარჩოს ინდიკატორის შემთხვევაში აღებული დაბალი შეფასებისა. ამ მხრივ, განსაკუთრებით დახურული სტრუქტურებით გამოირჩევიან უზბეკეთი და თურქმენეთი, შესაბამისად ამ ქვეყნებში ნულოვანი შეფასება ფიქსირდება.

კომპანიების რეესტრი




უძრავი ქონების რეესტრი

აღნიშნული მოდული ძირითადად აფასებს მიწის მესაკუთრეობისა და მფლობელობის შესახებ არსებული მონაცემების საჯაროობას და ამ მონაცემების რეალური გამოყენების მაგალითებს ქვეყნის ფარგლებში. მონაცემების ეს კატეგორია რეგიონისთვის საკმაოდ პრობლემური აღმოჩნდა გამომდინარე იქიდან, რომ ოთხ ქვეყანაში დაფიქსირდა ნულოვანი შეფასება, კერძოდ აზერბაიჯანში, ყირგიზეთში, ტაჯიკეთსა და თურქმენეთში. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ ამ ქვეყნებში მიწის მესაკუთრეობისა და გამოყენების შესახებ მონაცემები არ გროვდება, ან არ არის გასაჯაროებული. მეორე მხრივ, საკმაოდ მაღალი შეფასება დაფიქსირდა უკრაინის, მონღოლეთის და საქართველოს შემთხვევაში (48~50.77 ქულა), რაც ამ ქვეყნებში მეტწილად გამართული საკადასტრო სისტემის არსებობას უკავშირდება.

საქართველოში მიწათსარგებლობის შესახებ ინფორმაციას განაგებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. ცალკეულ ჩანაწერებზე წვდომა შესაძლებელია როგორც საძიებო ფუნქციის მეშვეობით, ასევე ელექტრონული რუკის პორტალზე. თუმცა მონაცემების სრულად მისაღებად დაწესებულია საფასური, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ხელმისაწვდომობას.

უძრავი ქონების რეესტრი




საჯარო ფინანსები

საჯარო ფინანსების მოდულის ინდიკატორებით შეფასდა სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ არსებული მონაცემების ხელმისაწვდომობა და მათი საჯაროობის ხარისხი. რეგიონში საუკეთესო შეფასება ამ მხრივ სომხეთში დაფიქსირდა, რაც გამომდინარეობს ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო ჩარჩოდან და სომხეთის ფინანსთა სამინისტროს პლატფორმაზე განთავსებული ბიუჯეტისა და ხარჯების შესახებ მონაცემების ხელმისაწვდომობიდან. ეს უკანასკნელი ფინანსური მონაცემების დათვალიერების საშუალებას იძლევა როგორც სტრუქტურირებული, ასევე ეკონომიკური ფილტრების მეშვეობით. შედარებით მაღალი შედეგები ასევე დაფიქსირდა უკრაინის, ყაზახეთის და საქართველოს შემთხვევაში.

საჯარო ფინანსების მოდულის ფარგლებში საქართველო რეგიონში მეოთხე ადგილს იკავებს 65.26 ქულით, რაც მეტწილად განპირობებულია იმ გარემოებიდან, რომ მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი ერთიან, დამუშავებად ფორმატში, ტრანზაქციები არ არის ხელმისაწვდომი ჩაშლილად, და საკანონმდებლო დონეზე არ არსებობს სტრუქტურირებული მონაცემების გამოქვეყნების ვალდებულება.

საჯარო ფინანსები



ჯანდაცვა და Covid-19

აღნიშნული მოდული აფასებს დემოგრაფიული სტატისტიკის ხელმისაწვდომობასა და ხარისხს, ჯანდაცვის სექტორის დატვირთულობის მაჩვენებლებს რეალურ დროში, და Covid-19 ვაქცინაციის სტატისტიკის ხელმისაწვდომობასა და ხარისხს. ჯანდაცვა და Covid-19 მოდულის ფარგლებში ლიდრობენ უკრაინა და სომხეთი, 55.15 და


49.14 ქულით. ხოლო ყველაზე დაბალი შეფასება თურქმენეთის და ტაჯიკეთის შემთხვევაში დაფიქსირდა. ვაქცინაციის შესახებ მონაცემები და საერთო სტატისტიკა ხელმისაწვდომია რეგიონის თითქმის ყველა ქვეყანაში, თუმცა ამ კუთხით მნიშვნელოვანი გამოწვევაა დამუშავებად და ღია ფორმატში ხელმისაწვდომობა.

საქართველო ამ მოდულში 39.6 ქულით შეფასდა, რაც რეგიონის ფარგლებში საკმაოდ დაბალი შედეგია. დაბალი შეფასების ძირითადი მიზეზია ჯანდაცვის სექტორის დატვირთულობის შესახებ ინფორმაციის არ არსებობა. რაც შეეხება ვაქცინაციის შესახებ ინფორმაციას, იგი განთავსებულია დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სტატისტიკის სპეციალიზებულ ვებსაიტზე, რომელიც ეძღვნება ვაქცინაციის პროცესს.⁵ მონაცემები წარმოდგენილია გრაფიკების და ინტერაქტიული რუქების სახით, მაგრამ ერთიანი და დამუშავებადი მონაცემთა

⁵ <https://vaccines.ncdc.ge/statistics/>

ნაკრები არ არის ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, მონაცემებს აკლია რამდენიმე ძირითადი ინდიკატორი და არ არის საკმარისად ჩამოყალიბებული სხვადასხვა მაჩვენებლების მიხედვით.

ჯანდაცვა და Covid19



სახელმწიფო შესყიდვები

მოდული აფასებს თუ რამდენად ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაციის და მონაცემების გამოქვეყნება, რამდენად დროული, ხარისხიანი, ზუსტია და რელევანტურია აღნიშნული მონაცემები და რამდენად გამართულია შესყიდვების ანალიტიკური პორტალის მუშაობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნებისთვის სახელმწიფო შესყიდვების მოდული გამოირჩევა შედარებით მაღალი შეფასებებით. თურქმენეთის გარდა, რეგიონის ყველა ქვეყანაში ხელმისაწვდომია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მონაცემები ამა თუ იმ ფორმით და სიხშირით ხდება ღია კონტრაქტის მონაცემთა სტანდარტების (OCDS) გამოყენება. განსაკუთრებით საყურადღებოა უკრაინის⁶, ყაზახეთის⁷, სომხეთის⁸ და მოლდოვის⁹ სახელმწიფო შესყიდვების პორტალები, რომლებმაც მაღალი შეფასებები დაიმსახურეს. პორტალების გამართულ მუშაობასთან ერთად, აღნიშნული ქვეყნები ასევე გამოირჩევიან სახელმწიფო შესყიდვების მონაცემების გამოყენების

⁶ <https://prozorro.gov.ua/>

⁷ <https://opentender.kz>


⁸ <https://armeps.am/ppcm/public/reports>

⁹ <https://mtender.gov.md/en/public/about>

პრაქტიკული მაგალითების სიმრავლით როგორც სამოქალაქო საზოგადოების, ასევე მედიის მხრიდან. ამ თვალსაზრისით დადებითად შეფასდა საქართველოს შედეგებიც.

შესყიდვების მოდულში, საქართველომ 59.63 ქულა მიიღო. ქვეყანაში მრავლად გვხვდება ამ მონაცემების გამოყენების მაგალითები - ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციების, და მედია საშუალებების მხრიდან. სახელმწიფო შესყიდვების სახელმწიფო პორტალისა და მასზე განთავსებული ინფორმაციის არსებობამ შესაძლებელი გახდა მასზე დაყრდნობით ანალიტიკური პლატფორმების¹⁰ შემუშავება მესამე პირების მიერ, რომლებიც უფრო ხელმისაწვდომს ხდიან აღნიშნულ მონაცემებს დაინტერესებული მხარეებისთვის. ამავდროულად, მართალია ქვეყანამ დაიწყო ღია კონტრაქტის მონაცემთა სტანდარტების დანერგვა, მაგრამ ინიციატივის ფარგლებში შექმნილი პორტალი/მოდული და გამოქვეყნებული მონაცემები 2019 წლის შემდეგ აღარ განახლებულა.

სახელმწიფო შესყიდვები



კლიმატის მონაცემები


კლიმატის მოდული აფასებს მონაცემების ხელმისაწვდომობას სამ ძირითად კომპონენტში: ემისიები, ბიო-მრავალფეროვნება, და სტიქიური მოვლენების მიმართ მოსახლეობის მოწყვლადობა. ამ მიმართულებით, რეგიონში სომხეთი და საქართველო ლიდერობს

¹⁰ <https://www.tendermonitor.ge/>

მონაცემების მაღალი ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე, თუმცა მათთვის კვლავ გამოწვევად რჩება ღია და დამუშავებადი ფორმატის უზრუნველყოფა.

საქართველოს შეფასებამ ამ მოდულში 41.07 ქულა შეადგინა. წყლის ხარისხისა და რაოდენობის შესახებ მონაცემები ხელმისაწვდომია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შექმნილ ვებ-გვერდზე,¹¹ ხოლო სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდზე ხელმისაწვდომია სხვადასხვა კატეგორიის მონაცემები, როგორცაა ოზონდამშლედი ნივთიერებების მოხმარება, დამაბინძურებლების ემისიები, ნახშირორჟანგის გამონაბოლქვი, საყოფაცხოვრებო წყლის გამოყენება და ა.შ. კლიმატის მონაცემების თვალსაზრისით, ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ეროვნულ დონეზე არ გროვდება და მუშავდება მონაცემები სტიქიური მოვლენების მიმართ მოსახლეობის მოწყვლადობის შესახებ (მონაცემები ადგილობრივი აგრარული საქმიანობის (აგროკულტურის) მიმართ არსებული რისკების შესახებ, მოსახლეობის ხელმისაწვდომობა სტიქიური მოვლენების გამაფრთხილებელ სისტემებზე, სტიქიური მოვლენების რისკის ქვეშ მცხოვრები მოსახლების შესახებ დემოგრაფიული მონაცემები, მონაცემები რისკის ქვეშ არსებული ინფრასტრუქტურის შესახებ, და ა.შ.).

კლიმატის მონაცემები



¹¹ <http://wis.mepa.gov.ge/Home/Welcome>

მარგინალიზებული ჯგუფები

GDB-ის ფარგლებში, შესწავლილ ქვეყნებში დამატებით განხორციელდა მარგინალიზებული ჯგუფების მდგომარეობის ზოგადი შეფასება. აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების უმრავლესობაში გვხვდება ეთნიკური უმცირესობები, როგორცაა უზბეკური მოსახლეობა ტაჯიკეთში, ეთნიკური სომხები და აზერბაიჯანელები საქართველოში, სხვადასხვა ჯგუფები აზერბაიჯანში და ა.შ. კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში, როგორცაა საქართველო და უკრაინა, საერთო მახასიათებელი იყო იძულებით გადაადგილებული მოსახლეობა.

უფრო ფართო განსაზღვრებით, რამდენიმე ქვეყნის შემთხვევაში მარგინალიზებულად იდენტიფიცირდა შემდეგი ჯგუფები: ქალები; LGBTQ+ საზოგადოება; მეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები; მოხუცები; და რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა. ერთ-ერთი საინტერესო ტენდენცია, რომელიც გამოვლინდა, ეხებოდა სახელმწიფოს მიერ მარგინალიზებული/მოწყვლადი ჯგუფების ოფიციალურ აღიარებას. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ქვეყანა თავის საკანონმდებლო/პოლიტიკის დოკუმენტებში მოიხსენიებს ასეთ ჯგუფებს და აქტიურად არის ჩართული მათ წინაშე მდგარ გამოწვევებზე მუშაობაში, ზოგიერთს კერ არ გადაუდგამს ფორმალური ნაბიჯები ამ მიმართულებით.

რეგიონის ძირითადი გამოწვევები

GDB-ის შედეგების ანალიზის საფუძველზე თვალსაჩინო ხდება რეგიონისთვის დამახასიათებელი ცალკეული ტენდენციები და გამოწვევები:

- რეგიონის ქვეყნებს სჭირდებათ ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის მყარი მარეგულირებელი ჩარჩო, ვინაიდან ქვეყნების უმრავლესობა არ ხელმძღვანელობს ღია მონაცემთა ერთიანი სტანდარტებით. ამ მხრივ, აუცილებელია ძლიერი პოლიტიკური ნება, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიმღებთა ცნობიერების ამაღლებას ქვეყანაში არსებული ღია მონაცემთა ეკოსისტემების მნიშვნელობის კუთხით.
- მნიშვნელოვანი კომპონენტია ღია მონაცემთა მართვის პროცესში ჩართული ყველა რელევანტური აქტორის შესაძლებლობების გაზრდა. კერძოდ, იმ პირების, ვინც პასუხისმგებელი არიან მონაცემთა შეგროვებაზე, დამუშავებაზე, გამოქვეყნებასა და გამოყენებაზე. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით პრიორიტეტულია საჯარო მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლება მონაცემთა განკარგვისა და ღია მონაცემებთან მუშაობის მიმართულებით.

- მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოებაზე, მედიასა და კერძო სექტორზე ორიენტირებული შესაძლებლობების განვითარების აქტივობები, რათა გაიზარდოს ღია მონაცემების პრაქტიკული გამოყენების შედეგად წარმოქმნილი პოზიტიური შედეგები/გავლენები. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის პარტნიორობის დამყარებას ღია მონაცემთა შეგროვების, გამოქვეყნებისა და გამოყენების საკითხებზე. მრავალსექტორული და მრავალმხრივი თანამშრომლობა მნიშვნელოვნად გაზრდის მონაცემთა ინიციატივების გავლენას საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს თანამშრომლობის საფუძველზე აქვთ პოტენციური გააერთიანონ თავიანთი ძალისხმევა და შეიმუშაონ ინოვაციური სერვისები და ახალი პროდუქტები, რომლებიც დადებითად აისახება მოქალაქეების კეთილდღეობაზე.
- სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიისთვის სარგებელი უკვე თვალსაჩინოა, თუმცა მონაცემების ეკონომიკური პოტენციალი ამჟამად არ არის სრულად რეალიზებული და წახალისებული. ღია მონაცემების ეკონომიკურ ასპექტებზე ყურადღების გამახვილების შედეგად, შესაძლებელია რეგიონში ღია მონაცემების პრაქტიკის გააქტიურება და შემდგომი განვითარება.

რეკომენდაციები საქართველოსთვის

- მონაცემთა მართვის/განკარგვის ინდიკატორების მიხედვით, საქართველო რეგიონში მეშვიდე ადგილს იკავებს 34.54 ქულით. შედეგებმა ცხადყო, რომ მნიშვნელოვანია მონაცემთა ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის და დაცვის რეგულაციების, პროცესებისა და ინსტიტუტების ჩამოყალიბება/გაუმჯობესება, და ამ მხრივ არსებული ძალისხმევის გაძლიერება. განსაკუთრებით საყურადღებოა შემდეგი საჭიროებები: ღია მონაცემების ერთიანი პოლიტიკა, საჯარო მონაცემების მიმოცვლის საკანონმდებლო ჩარჩო და საჯარო მონაცემების მართვის/განკარგვის ერთიანი სტანდარტი.
- მონაცემების შესაძლებლობების თვალსაზრისით, აუცილებელია უკვე არსებული, ღია მონაცემების სახელმწიფო პორტალის გააქტიურება და მასზე მნიშვნელოვანი მონაცემების რეგულარულად განთავსება. საწყის ეტაპზე, ამ პროცესში სასურველია ჩართული იყოს ყველა ის საჯარო დაწესებულება, რომელიც აგროვებს და ამუშავებს საზოგადოებისთვის მაღალი ინტერესის საჯარო მონაცემებს. ამავდროულად, გამოიკვეთა ადგილობრივ დონეზე მონაცემების განკარგვის შესაძლებლობების განვითარების საჭიროება.

- პოლიტიკური ანგარიშვალდებულების მოდულში, საქართველომ საუკეთესო შეფასება ქონებრივი დეკლარაციების ინდიკატორში დაიმსახურა. ამ მხრივ მთავარ საჭიროებას აღნიშნული მონაცემების ღია ფორმატში ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. ამავე მოდულის ფარგლებში გამოიკვეთა საჯარო კონსულტაციების, როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის მექანიზმის გაუმჯობესების და ამ მიმართულებით მონაცემების შეგროვების და დამუშავების მექანიზმების ჩამოყალიბების აუცილებლობა.
- საქართველოში მიწათსარგებლობის შესახებ მონაცემების სრულად მისაღებად დაწესებულია საფასური, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მონაცემების ხელმისაწვდომობას. ამ კომპონენტში ღია სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით, აუცილებელია ფინანსური ბარიერის (Paywall) მოხსნა.
- სახელმწიფო აგროვებს და აქვეყნებს მონაცემებს კერძო კომპანიების შესახებ, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია ამ მონაცემების საზოგადოების მიერ გამოყენების წახალისება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის სტანდარტების მიღება და დანერგვა.
- საჯარო ფინანსების მიმართულებით, აუცილებელია საბიუჯეტო მონაცემები გახდეს ხელმისაწვდომი ერთიან დამუშავებად ფორმატში, ინდივიდუალური ტრანზაქციები აისახოს ჩაშლილად, და სტრუქტურირებული მონაცემების გამოქვეყნების ვალდებულება განმტკიცდეს საკანონმდებლო დონეზე.
- მნიშვნელოვანია ქვეყანაში მოხდეს ჯანდაცვის სექტორის დატვირთულობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და რეალურ დროში გამოქვეყნება. ხოლო ვაქცინაციის შესახებ მონაცემები უნდა გახდეს ხელმისაწვდომი ერთიან და დამუშავებად ფორმატში, და იყოს წარმოდგენილი ჩაშლილად, სხვადასხვა მაჩვენებლების მიხედვით.
- კლიმატის მონაცემების თვალსაზრისით, როგორც ეროვნულ ისე ადგილობრივ დონეზე მნიშვნელოვანია დაიწყოს მონაცემების შეგროვება და დამუშავება სტიქიური მოვლენების მიმართ მოსახლეობის მოწყვლადობის შესახებ.

